№1134 2015 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშის“ მოწონების თაობაზე

1. „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №445 დადგენილების დანართი №2-ის მე-4 მუხლის საფუძველზე, მოწონებულ იქნეს „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში“ და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშის“ საკითხზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნონ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, სოფიო ჯაფარიძე და მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში (სამსახური) სამსახურის უფროსი, ნატალია ჯალიაშვილი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**